

Социал-демократия

1189
26
26

სოციალ-დემოკრატია

ორივე ნიშნად. სოც. დემოკრატიის რუსული პარტიის
ოკრანო კავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციის

№ 5 17 (30) ივლისი 1905 წ.

საქართველო
თბილისი № 5

დემოკრატია და სოციალ-დემოკრატია

II

როგორც პირველ წერილში ვთქვით, რადგანაც ყველაზე უფრო ძლიერი პარტია დღეს სოციალ-დემოკრატიაა, ხოლო დემოკრატიული პარტიები უძლურია, ამიტომ დემოკრატიული წერილი ბურჟუაზიული კლასები ჩვენს პარტიას აწვევს და ჩვენს სიმაგრეში ჩასაფრებული თავის მტერთაგან ებრძვიან. ეს კლასები განიცდიან სიმთავარ ნაწილთ: გლეხობა, წერილი ეპარ-პრეფერენცი და ინტელიგენცია. ჩვენში, კავკასიაში, პარტიაში მხოვადი განსაკუთრებით პირველი ორი ნაწილი, ინტელიგენცია კი აქ უფრო ნაციონალისტურია და პარტიაში შემოსულთა რაოდენობა მცირეა. ამით იხსნება, სხვათა შორის, ის რომ ჩვენებური მუშათა მოძრაობა უმთავრესათ თვით მუშათა საქმეა და ინტელიგენტები თავიდანვე დამხმარე როლს თამაშობდნენ.

სულ სხვაა რუსეთში. იქ ინტელიგენცია თავიდანვე რევოლიუციის მოწინავე რაზმია; მას აქვს დიდი ისტორიული წარსული, მას შეუძლია თავისი წრიდან წამოაყენოს მრავალი თავდადებული მებრძოლი და ამიტომ მისი მნიშვნელობა და გავლენა დიდია. როგორც კი მან პროლეტარიატში რევოლიუციური ძალა დაინახა, მაშინვე მრავალი მიემხრო მის და პარტიაში შემოვიდა. რას ნიშნავს ეს შემოსვლა? ინტელიგენცია არის არა პარტი წერილი ბურჟუა, როგორც სხვა მისი მოძმენი, არამედ განთავსებული წერილი ბურჟუა. მისი ცხოვრების იარაღი განათლება, სწავლა-ცოდნა და ამიტომ სადაც კი შედის — შედის არა როგორც ჯარისკაცი, არამედ როგორც სარდლია. აქედან მისი დამახასიათებელი თვისება მდგომარეობა წერილი ბურჟუაზიული, ხოლო პსიხოლოგია, სულიერი მიმსწრაფება ლენერლური, ე. ი. მიიღობის რამენიარათ „ჯარის“ მეთაური გახდეს. ორივე ამ ძირითად კლასურ თვისებას ის ხანდახან ჩრდილავს მესამე თვისებით — იდეურათ სხვა კლასის, პროლეტარიატის,

მიკედლებით. მაგრამ რადგანაც მდგომარეობა ქმნის იდეის, ამიტომ მისი პროლეტარული იდეა მუდმივ რყევასა და დაუდგომლობაშია. მას თვისი მდგომარეობა მუდამ, მის შეუქმნველათ, უკან ეწიწება თავის კლასისაგან და მის მოღვაწეობას პროლეტარულ გზას აშორებს. აქედან წარმოსდგება ის, რომ სწორით ის პროგრამას წმინდა სოციალ-დემოკრატიულს იღებს, ორგანიზაციასა და ტაქტიკას კი წერილ ბურჟუაზიულს აღიარებს. მისი სიტყვა და საქმე ერთმანერთს არ ეთანხმება.

მაშასადამე, ინტელიგენციის სოციალ-დემოკრატიაში მრავლათ შემოსვლა ნიშნავს ადვილ ამ თვისების შემოტანას და ასე პარტიისთვის ახალი განსაცდელის დადგებას. და მართლაც, მისი რუსის სოციალ-დემოკრატიაში შემოსევა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაპყრობა ერთი იყო. ის ჩქარა გაბატონდა პარტიაში და ის თვისი გეგმაზე მოაწყო. მან პარტია ააშენა მალღიდან, ეურნალისტებიდან და სხვა ინტელიგენტებისაგან. მან დააყენა კომიტეტები და მთელი უფლება მას გადასცა. ერთი სიტყვით, თავისი ლენერლური მიმართულება სავესებით გამოიჩინა და სისრულეში მოიყვანა. ეს არის ორგანიზაცია რევოლიუციური, მარა არა პროლეტარულ-რევოლიუციური, რომელიც ყოველნაირი ლენერლობის წინააღმდეგია, არამედ წერილ ბურჟუაზიულ-რევოლიუციური (იაკობინური). ამ არა-პროლეტარულ ორგანიზაციას ყვარავდნენ პროლეტარული პროგრამით. მაგრამ, რადგანაც პარტია ერთიანათ თავის ორგანიზაციაზე არის დაყრდნობილი, მის საქმეს მის სიტყვაზე მეტი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ბოლოს მიანიც ამოხეთქა ძირითად სიღუბეშიც ეა ორგანიზაციულ კითხვამ პარტია გაყო. ერთმა ნაწილმა უარყო წერილ-ბურჟუაზიულ-ინტელიგენტური ორგანიზაცია და აღიარა პროლეტარულ-დემოკრატიული, ხოლო მეორე კიდევ უფრო ჩაებლაუკა მას, ის კიდევ უფრო გააზვიდა და ასე პროლეტარულ პარტიაში წერილი ბურჟუაზიული „პარტია“ შეიქმნა. „უბრავლესობის“ უკანასკნელი კრება ამ მხრით არის შესანიშნავი. როგორც ხედავთ, ინტელიგენციის ერთმა თვის-

სებამ—ლენერლობამ—ორგანიზაციაში იმინა თავი. მაშასადამე, ორგანიზაციურ კიბეაში „უმრავლესობა“ წერილი ბურჟუაზია. მაგრამ რაკი ეს მისი ერთი თვისება დაიძირა, ცხადია სხვა თვისებებიც თან უნდა აეყოლებოდა და წერილი ბურჟუაზიული სახე უფრო და უფრო გამოეყარა. და ეს ასეც მოხდა. სანამ მარტო პროლეტარიატი იბრძოდა, ხოლო წერილ-ბურჟუაზიულ კლასებს ემინა ისიც მარტო პროლეტარიატი ხედავდა სიმაგრეს და სხვა პარტიებითან შეეკავშირებდას უარს ყოფდა. მაგრამ, როგორც კი გლეხობა და ქალაქის წერილი ბურჟუაზია ამობოქრდა, მასაც გული აუტოკდა, თავის წინანდელ პოზიციას ვეღარ შერჩა, სიხარულით თვალები დაუხმებლდა და საჯაროთ აღიარა: საჭიროა პროლეტარიატის „შეკავშირება“ წერილ ბურჟუაზიასთან და მათი „დემოკრატიულ“ დიქტატურის“ გამოცხადებო. აი რას წყერს „უმრავლესობის“ ვაზეთი „უბერიოლი“: ჩვენ გესურს რესპუბლიკის დამყარება, ამ მიზნით ვუკავშირდებით რევოლუციონურ დემოკრატიულ ბურჟუაზიას... ობიექტიურბა ისტორიულბა მოვლენათა მოვალეობამ რუსეთის პროლეტარიატი დღეს დემოკრატიულ რევოლუციის წინაშე დააყენა, ესევე დანიშნულება აქვს დაკისრებული მთელ ხალხს, ე. ი. წერილ ბურჟუაზიას და გლეხ-კაცობას. უამრევოლუციოთ ყოვლილ შეუძლებელია პროლეტარიატმა მკვიდრი დამოუკიდებელი ორგანიზაცია შექმნას“ (№ 14)*. აშკარაა, პროლეტარიატი კი არ იურთებს წერილ ბურჟუაზიას, არამედ წერილი ბურჟუაზია იერთებს პროლეტარიატს. სოციალდემოკრატია ტოვებს თავის პროგრამის მთავარ მიზანს—ბურჟუაზიასთან ბრძოლას—და ამ პირდაპირ მტერთან შეერთებულ-შეკავშირებული ებრძვის მარტო რეპტიკას, ე. ი. აწარმოებს დემოკრატიას. ეს კიდევ კოტბაა. თუკი ჩვენ ბურჟუაზიული წყობილების ოპოზიციას თავს დავაყენებთ თუნდაც „დროებით“, აშკარაა, ცხადია ამ წყობილების საშახურსაც ვიტვირთებთ, რასაკერეღია, იმასაც „დროებით“. და მართლაც, წერილი ბურჟუაზიის იღვალა დემოკრატიული წყობილება, ამას იქით ის არ მიდის. მაშასადამე, დემოკრატიული მთავრობა მათი მთავრობა უნდა იყოს. სოციალდემოკრატია კი მიიღობის სოციალისტურ წყობილებისაკენ, მაშასადამე მისი მთავრობა იქნება მარტო სოციალისტური მთავრობა. ეს დღესათი ნათელია. მარა რაკი „უმრავლესობა“ დემოკრატობამდის ჩამოკეციდა,


რასაკერეღია, მას დემოკრატიული მთავრობა და დავსხა თვის მთავრობით და შეიძლება მოენდომებია. ის ამბობს: „რუსის პროლეტარიატი ამ ეპოქა რუსეთის მცხოვრებთა უმცირესობაა. და უმრავლესობად გადაქცევა (!!) შეუძლია მხოლოდ მაშინ, როცა ის შეუერთდება ნახევარპროლეტარიატს, ნახევარ ხაზიანებთა მისსას, ე. ი. სოფლის დეპლუაქის ღარიბ წყრილ ბურჟუაზიას. ასეთი სოციალური საფუძველი შესაძლებელი და სასურველ რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურის რასაკერეღია, გავლენას იქონიებს თვით რევოლუციურ მთავრობის შედგენაზე და აუცილებლათ გახდის შიგ მონაწილეობა მიიღონ ან უბრაველსიც იყვენ რევოლუციურ დემოკრატიის სხვადასხვა ფერის წარმომადგენელი“ (იხ. „უბერიოლი“ № 14, ფელეტონი).

და ასე, რაკი პროლეტარიატი უმცირესობაა, ამიტომ ის უნდა ვატიოს უმრავლესობას, შეერთოს მისი წერილ ბურჟუაზიული თვალთახედვის ისარი და ტაქტიკა. სოციალდემოკრატია დემოკრატიულ პარტიებთან ერთათ მთავრობაში ზის და მუშაობს ბურჟუაზიის ბატონობის მოსაშახადებლათ. „სოც.-რევოლუციონერი“, პროგრესისტი, ავტონომისტი, ფედერალისტი, რადიკალი—აი ვის ამხანაგობას გვიჩივებს „უბერიოლი“, აი ვისთან ერთად უნდა შევადგინოთ „დემოკრატიული დიქტატურა“? სოციალდემოკრატია მინისტრი! ეს ნაშეაგ სოციალდემოკრატ გუბერნატორს, სოციალდემოკრატ პოლიციელს, სოციალდემოკრატ ენდარბს—ერთი სიტყვით სოციალდემოკრატ ბიუროკრატს. თუკი „უმრავლესობამ“ მინისტრის პორტფელი ხელთ იგდო, მაგ. შინაგან საქმეთა მინისტრის, რადგან ამას ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს, უკველია, ის თანე ამხანაგე ენაწესებს ყველა საპოლიციო თანამდებობაზე და ერთ-მეერთ დღეს ჩვენი გუშინდელი ამხანაგები ახალ ბატონებთა მოგვევლინება, როგორც ეს 1848 წ. საფრანგეთში გამინისტრებულნი ლუი ბლანი და როლენი მუშებს მოვევლინათ. და თუ მუშები არ დამყავთილდენ დემოკრატიული რევოლუციებით და მოითხოვენ ბურჟუაზიის ბატონობის დაწარვეც, დროებითი მთავრობა, „უმრავლესობის“ დახმარებით, მუშებს ჩააჩუმებს ან ნებით და ან ძალით, როგორც ეს იმავე საფრანგეთში იყო*. ასეთ რაღს ახვევს სოციალდემოკრატის ეს ახალ გამოჩეკილი „პარტია“!

მეტყვიან: ეს არის „დროებით“, კოტა ხნით

* ეს წერილი კავშ. კომ. ქართულ წიგნაკთ დამბედა ამ სათაურით: „რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა პროლეტარიატის და გლეხკაცობისა“.

* საფრანგეთის დროებით მთავრობაზე იხ. დავერილობით „მოგზაურში“ დამბედილ წერილებში „საფრანგეთის მე-19 საუკუნის ისტორიიდან“.



და არა სამუდამოთო. მაგრამ რა არის სამუდამო, რომ ეს იყოს? სწორედ დროებითი შევიდა ლეო ბლანკი „დროებითი მთავრობაში“, ხოლო მილიერანი მუდმივი, მათა ორივე პროლეტარიატისათვის დიდი მანებელი შეიქნა; პირველმა გამოიწვია 15 ათასი აჯანყებულ მუშის დახოცვა და კატორგაში გაგზავნა, ხოლო მეორემ სოციალდემოკრატიული პარტიის ერთიანთა არევა და მისი დიდი ნაწილის გამოპოტუნებისტება. ცხადია, საქმე დროში კი არ არის, არამედ პრინციპშია, რომელსაც თავისი ლოზიკა აქვს და ის ბოლომდის ვითარდება. „უპრავლესობის“ ბლოკი არც ისე დროებითია, როგორც ბეერს ჰგონიათ, პირიქით, მისი მიზანია მთელი ჩვენი პროგრამა—მინიმუმის განხორციელება, როგორც თვითონ აღიარებენ (იხ. მათი კრების რეზოლუცია), ხოლო ეს კი შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს; ეს მინიმუმი ჯერ არც ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში არ არის განხორციელებული და თუ „უპრავლესობა“ წვრილ-ბურჟუაზიას არ მოშორდა მის განხორციელებამდის, აშკარაა ისინი ერთათ რჩებიან თვით სოციალურ რევოლუციამდის, ყო, ი., მდამიოთ რომ ეთქვას, ის უბრალო დემოკრატიული რესპუბლიკანურ პარტიათ რჩება და მით ბურჟუაზიას სამუდამო ეკედლება.

ახლა კი ცხადია, თუ რას ნიშნავს განათლებულ წვრილ-ბურჟუაზიის სოციალდემოკრატიაში მრავლათ შემოსვლა. მას განათლება აიძულებს პარტიაში წინამძღვრობა, დენერლობა ეძიოს და იმ მსი კიდევაც შემოიტანა ამის შესაფერი ორგანიზაცია; ის მდგომარეობით, თავისი ცხოვრებით წვრილი ბურჟუაზია და იმ მდგომარეობა იპოროჩილებს მის იდეებსაც, მან შემოიტანა წვრილ-ბურჟუაზიული ტაქტიკა და ეს სწორეთ იმდროს, როცა სოციალდემოკრატია საერთო მტრულ ატმოსფერაში იმყოფება, როცა სხვადასხვა რევოლუციური პარტიები მას ყოველ მხრიდან თავს ესხმიან და დანგრევას უპირებენ. მათთან ბრძოლის და თავის დამოუკიდებლობის შერჩენის მაგიერ, ეს ჩვენნი „მოუპრავლესენი“ ქადაგებენ: მათ მიეკედლოთ, მათთან კავშირი შეეკრათ, მათ მთავრობაში შევიდეთ და მათ ფეხის ხმას ავეყეთო!

ეს არის სოციალდემოკრატია? არა, ამხანაგებო, ამაში არაფერ დაჯავრებო: ეს არის დემოკრატია, და მისი მატარებელი დემოკრატიული პარტიაა.

ამის დასამტკიცებლათ მოვიყვანთ სოციალდემოკრატიის მამათმთავართა, კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის აზრებს ამ კითხვების შესახებ, რომელნიც თვითიანთ ეწინააღმდეგებნიან ლენინელთა აზრებს. 1850 წ. გერმანიაში ისევე რაქცია ვაბატონდა და

ქვეყნა ხელახლა აბობოქრდა რევოლუციის მოსახენთა. იი რას სწერდა მაშინ მარქსი კომუნისტურ კავშირის წევრებს ამის შესახებ:

„ამ ეამათ, როცა დემოკრატიული წვრილი ბურჟუები ყოველგან შევიწროვებულა, ისინი პროლეტარიატს უქადაგებენ საზოგადო შეერთებას, შეთანხმებას, ხელს უშეყრენ მას და ცდილობენ ერთი დიდი ოპოზიციური პარტიის შედგენას, რომელიც ყველა მიმართულებას დემოკრატიულ პარტიაში თავს მოუყრის; ე. ი. ისინი ცდილობენ მუშები ჩაბან ისეთ პარტიულ ორგანიზაციაში, სადაც საზოგადო სოციალდემოკრატიული ფრაზები იქნება გაბატონებული, რომელთა უკან დამალული იქნება მათი კერძო ინტერესები, ხოლო პროლეტარიატის საკუთარი ინტერესები საერთო კავშირის დარღვევის შიშით არ უნდა იქნას წამოყენებული. ასეთი ერთობა მხოლოდ წვრილ ბურჟუაზიას მოუტანს სარგებლობას, პროლეტარიატს კი ერთიანათ აზარალებს. პროლეტარიატი ამით დაჰკარგავს თავის დიდს შრომით მოპოვებულ დამოუკიდებლობას და ხელახლა ოფიციალურ ბურჟუაზიულ დემოკრატიის კუთლ გადაიქცევა. ასეთი ერთობა, მაშასადამე, გადაჭრით უარყოფილ უნდა იქნას... საერთო მტერთან შესაბამისად დასაქარო არ არის განსაკუთრებით კავშირი; როგორც კი მასთან პირდაპირ შეტაკება იქნება საქირო—ორივე პარტიის ინტერესები ამ მომენტისათვის ერთდება და როგორც აქამდის, ისე შემედგისათვისაც, ეს, მხოლოდ ასეთი წუთისათვის საჭირო, კავშირი თავისთავათ კეთდება. რასაკვირველია, მომავალ შეტაკებაში, ისე როგორც ყველა წინანდელ ასეთ შეტაკებაში, მუშები თავის სიმამაცით, თავის გაბედულობით და თავისადებით გამარჯვებას მოიპოვებენ. აქაც, როგორც წინეთ, წვრილი ბურჟუაზია, რაც შეიძლება, დიდხანს იქნება უმოქმედო, გაუბედავი, გამთხალეული, მაგრამ როგორც კი გამარჯვებას მუშები მოიპოვებენ, მაშინვე ის წინ წამოდგება ნაყოფის მოსამკვლათ და მუშებს მოიწოდებს მშვიდობიანობის და შინ თავის სამუშაოზე დაბრუნებისაკენ, რომ მით პროლეტარიატს ეგრეთ წოდებული „გადაქარბება“ არ დანებოს და მოგების ნაყოფი არ მიჰკაროს. მუშებს იმდენი ძალა არ შესწევთ, რომ ეს წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატიას დაუშალონ, სამაგიეროთ მათ შეუძლიათ გაუძენლონ შეიარაღებულ პროლეტარიატის წინააღმდეგ ვალშეკრება ან აიძულონ ისეთი პირობების მიღება, რომ წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატიის ბატონობა თავის არსებობა ატარებდეს თავისივე დაღუპვის თესლს და მისი შემდეგ განდევნა პროლეტარიატის მიერ შესაძენვეთ გა-

ადვილდეს. მუშებმა შეტაკების დროს და შეტაკების შემდეგაც ბურჟუაზიულ მისწრაფებათ, რამდენადაც კი ეს შეიძლება, უნდა შეებრძოლონ და დემოკრატებს ძალა დატანონ თავისი დღევანდელი ტრორასტული ფრანგები განახორციელონ. მუშებმა უნდა იმუშაონ იმაზე, რომ გამარჯვების მოპოვებისთანავე რევოლუციური მღელვარება არ შეჩერდეს, პირიქით, მათ უნდა იმეცადინონ ის, რაც შეიძლება, დიდ ხანს ვაგარძელონ. როგორც შეტაკების დროს, ისე შემდეგ ბურჟუაზიულ დემოკრატთა მოთხოვნებიანების გვერდით თვითთულ შემთხვევაში მუშებმა თავისი საკუთარი მოთხოვნა უნდა წამოაყენონ. მუშებმა თავისთვის გარანტიები უნდა მოითხოვონ მაშინვე, როგორც კი დემოკრატები მთავრობის ხელში ჩასაგდებათ დაიძვრიან. და თუ საჭირო დარჩა — ეს გარანტიები ძალით უნდა მოაპოვონ; საზოგადოთ, უნდა იმეცადინონ ახალ მთავრობას რაც შეიძლება, მეტი დაპირება და შეღავათი აღმოუჩვენონ; ეს ნაძვილი საშუალებაა იქონი სახელის გეტების და შერცხვენის... ახალ ოფიციალურ მთავრობის გვერდით მუშებმა უნდა დაარსონ თავისი რევოლუციური მუშათა მთავრობა საბჭოთა და მათი გაშვების, მუშათა კლუბების თუ მუშათა კომიტეტების სახით; ასე რომ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ მთავრობამ არა თუ მაშინვე უნდა დადგარიყოს მუშათა სიმკაცრე, არამედ ისეთ დაწესებულებათა შედგენლობის ქვეშ დადგეს, ისეთი მოწინააღმდეგე დაინახოს, რომლის უკან მუშათა მთელი მასა დგას. ერთი სიტყვით, გამარჯვებისთანავე ბრძოლა უნდა გამოცხადდეს არა დაპარცხებულ რეაქციონურ პარტიას, არამედ მუშათა ამ დრომდის მოკავშირეს, იმ პარტიას, რომელიც ცდილობს საერთო გამარჯვება მარტო თავის სასარგებლოდ მოიხმაროს“.)

აი მარქსის ტაქტიკა, აი ჩენი ტაქტიკა. ეს, როგორც ხედავთ, ძირიანათ წინააღმდეგება „უმრავლესობის“ ტაქტიკას.

რაც შეეხება ენგელსს, აი რას სწერდა ის იტალიის სოციალისტ ტიურატის 1891 წ. იტალიაში მაშინ მოსალოდნელ რევოლუციის შესახებ: „იტალიის მოსალოდნელი რევოლუცია იქნება არა სოციალისტური, არამედ წერილ-ბურჟუაზიული; გამარჯვებამდე პროლეტარიატი უნდა გამოვიდეს არსებულ წყობილების წინააღმდეგ წვრილ-ბურჟუაზიის გვერდით, მაგრამ უქვევლათ საკუთარი პარტიით. ხოლო შემდეგ გამარჯვებისა, დღათ სავიზარი იქნება ახალ მთავრობაში სოციალისტების

შესვლა. ამით გაიმეორებენ 1848 წ. ლუიზონის და ფრანგთა სხვა სოციალისტების შეცდომას — ახალ დემოკრატიულ მთავრობაში მონაწილეობის მიღებით სოციალისტები პასუხის მგებელნი იქნებიან ამ მთავრობის ყველა შეცდომების და მოლაღატეობის მუშათა მიმართ. მეორე მხრით, ამავე დროს მუშათა კლასის რევოლუციური ენერჯია დასუსტდება და ეს იმავე მთავრობაში სოციალისტების მიერ მონაწილეობის მიღებით (იხ. „ისკრა“ № 38).

აი მარქს-ენგელსის რევოლუციური პროლეტარული ტაქტიკა. ეს ისე გაიჩნება „უმრავლესობის“ რევოლუციურ-დემოკრატიულ ტაქტიკისაგან, როგორც დღე ღამისაგან. და მიუხედავად ამისა, ეს ახირებული პირები გაიძახიან — მარქსისტები ვართო!

ამ გვართ, რუსეთის სოციალ-დემოკრატის მტერი რომი მხრით მოადგა: გარედმიდან და შიგნიდან. როგორ შექმნება მას ამ ორპირი იერონის მოკერება, დემოკრატიულ შემოხვევისაგან თავის დაწვევა და კიდევ უფრო განმტკიცებული და გასპეტაკებული ამ არეკ-დარევისაგან გაოსვლა?

ამას გავიგებთ ძესამე წერილში.

სოციალისტ-რევოლუციონერებმა ჩენიშვიც

სოციალისტ - რევოლუციონერებმა ჩენიშვიც თავი იჩინეს. სხვა მრავალ ახალ გამოჩევილ პარტიათა შორის ისინიც ძიპართავენ მუშა-ახალს და გაკეთებას პირდებიან, ოღონდ ჩენს პარტიაში კი გადძოდიო. მუშა შეიქმნა ყველას სატრფილო საგანი, ვინ ვინდა რომ მას კალთაში არ აფრინდებოდეს და თავისკენ არ ეწიწებოდეს. ამ საერთო წიქსს განსაკუთრებით ხერხინათ სოციალისტ-რევოლუციონერები აწარმოებენ. ზოგ მათ ფურცლებიდან ვერც კი მიხვდებიან, ვისთან გაქვთ საქმე, ძაოთლა მუშათა პარტიასთან თუ სხვა ვინმესთან. ისინიც თავს დებენ სოციალიზმისთვის, იმათაც სურთ დემოკრატიული რესპუბლიკა, ისინიც იბრძვიან ძირითად რეფორმებისათვის და ყველა ეს ისეთი სიტყვებით და ფრანგებით გამოთქაულია, რომ ძნელი გასარჩევია სოციალ-დემოკრატიულ ფურცლისაგან. მათ ჩინებულათ შეითვისეს სოციალ-დემოკრატიული სიტყვიერება და მისი მფარველობით „სახალხო გამოცემებში“ თავის მოძღვრებას კონტრბანდათ ასაღებენ. ამა წიათხუთ მათი ფურცელი „რასურთ სოციალისტ-რევოლუციონერთა“, თუ ის, ორიოდ მოთხოვნილების გარდა, სოციალ-დემოკრატიული ფურცლისაგან გააჩნით. რა გაქვთ გასაყოფი. ისინიც ხომ იმას თხოულობენ, რასაც თქვენ, გვეუბნებიან ზოგეირავები. ერთი სიტყვით, სოციალისტ-რევო-

1) იხ. ენგელსის გამოცემული: „Zur Geschichte des Bu. des der Kommunisten“, გვ. 80.

ლიუციონერი თითქმის სოციალ-დემოკრატია, სოციალ-დემოკრატია თითქმის სოციალისტ-რევოლუციონერია. მაგრამ ერთი ვიკითხოთ: თუ ისინი ისე ახლო არიან ჩვენთან, როგორც ეს თავის ფურცლებში გამოაქვთ, თუ კი ისინი ისეთი სოციალისტებია როგორც ჩვენ, რატომ ჩვენს ბანაკში არ იმყოფებიან? თუ ისინი ისეთივე რევოლუციონერები არიან, როგორც სოციალ-დემოკრატები, რატომ ჩვენ მათ ბანაკში არ ვიმყოფებით? და თუ ეს ასე არ არის, თუ, პირიქით, ჩვენს შორის ბრძოლა არის, აშკარა ან ისინი არ არიან ნამდვილი სოციალისტები და რევოლუციონერები ან ჩვენ, ან ისინი ივარდებიან სხვის პირბადეს ან ჩვენ. მამ გავშინჯოთ სოციალისტ-რევოლუციონერთა მისწრაფება, მათი მოძღვრება და მოქმედება და ნათელ ვყოთ ჩვენს მათგან განსხვავება. განვიხილოთ ჯერ მათი მოძღვრება და შემდეგ მათი ტაქტიკა და ორგანიზაცია.

1 მოძღვრება.

როგორც იცით, ინტერნაციონალური სოციალ-დემოკრატია, და მასთან ერთად ჩვენც, თავის მამამთავართ აღიარებს მარქსს და ენგელსს; ამათ მიერ შემუშავებული ისტორიული, პოლიტიკური და ეკონომიური მოძღვრება შეადგენს მეცნიერულ საფუძველს მუშათა მოძრაობისას.

სოციალისტ-რევოლუციონერები კი თავის მამამთავარად აღიარებენ ჩენრისშეესკის (!), ლავროვს და მიხაილოვსკის (ის მათი ორგანო „Револуционная Россия“ № 17, გვ. 8); ამათ მიერ წამოყენებული მოძღვრება შეადგენს საფუძველს ს.-რევოლუციონერთა მოძრაობისას.

აი ამ ორი სხვადასხვა თეორეტიული სათავესაგან მომდინარეობს ორი სხვადასხვა პროგრამა, ტაქტიკა და ორგანიზაცია. ისინი ერთმანეთისაგან ნსხვავდებიან იმდენათ, რამდენათ მარქს-ენგელსი ნსხვავდება ლავროვ-მიხაილოვსკისაგან. რას შეიცავს ეს განსხვავება?

მარქს-ენგელსის მოძღვრება აღორძინდა ევროპის ნივთიერ ურთიერ-ერთობაზე; ის წარმოშობა კაპიტალიზმის განვითარებამ, პროლეტარიატის ბურჟუაზიის ერთმანეთთან ბრძოლამ. ის არის მეცნიერული დასაბუთება პროლეტარიატის კლასიური ბრძოლის და მისი საბოლოო გამარჯვების.

ლავროვ-მიხაილოვსკის მოძღვრება 1) აღორძინდა რუსეთის ნივთიერ ურთიერ-ერთობაზე, მე-7 წლებში, როცა ჯერ კიდევ კაპიტალიზმი განვითარებულ

არ იყო, პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ბრძოლა არ სუფევდა, არც ერთი კლასი რევოლუციურ როლს არ თამაშობდა და ბურთი და ინტელიგენციის რჩებოდა. პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა ინტელიგენცია და ის გვირუკად შეებრძოლა თვითმპყრობელობას. და აი, ამ ბრძოლის თეორეტიული გამოხატულება, მისი დასაბუთება და ხელის შეწყობა იტვირთეს ლავროვმა და მიხაილოვსკიმ. პირველმა წამოაყენა „კრიტიკულათ მოაზრე პიროვენის“, ე. ი. მეზობლ ინტელიგენტის თეორია, რომელიც ყოველად შემძლე ძალას ანიჭებდა ასეთ პიროვნებას და მას აღიარებდა საზოგადო ცხოვრების ერთადერთ მეთაურთა, შემცველთა და თავის სურვილისამებარ მომწყობათ. (ის ლავროვის—პირტოვის „ისტორიული წერილები“, დაიბეჭდა 1869). „კრიტიკულათ მოაზრე პიროვენა.—აი ვინ დასცემს თვითმპყრობელობას, ხელში ჩაიგდებს მთავრობას, დაამყარებს პოლიტიკურ და ეკონომიურ თანასწორობას, ერთი სიტყვით, გააბედნიერებს შთელ ხალხს. ასე სწამდა მაშინ მეზობლ ინტელიგენციის, ამას ქადაგებდენ მისი ცნობილი იდეოლოგები და ეს მას აძლევდა ძალას და ზნეობას. აქედან დაიბადა დიდი ნდობა პატარა ჯგუფთა და გმირთა მოქმედებისა და დიდი უნდობლობა მასნის (ხალხის) მოძრაობისა. და აი ეს მიიღეს სამყვიდროთ სოციალისტ-რევოლუციონერებმა.

მიხაილოვსკიმ, მიეროვმა რა ლავროვის „კრიტიკულათ მოაზრე პიროვენას, —“კიდევ უფრო გააზვიადა მისი როლი და საზოგადოების განვითარების რკინის კანონებს რამოდენიმეთ დიუპირდაპირა. ის წინააღმდეგა კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთში, რაც მისი აზრით, დასცემს, გააბრლოვებებს გლეხობას, მოსპობს მის მიწის საერთო მფლობელობას და ასე კაპიტალიზმის ქვაბში გაღახარ. მულო რუსეთი გადასცდება თავის „ბუნებრივ“ გზას. ეს გზა კი იწინარია, რომ მის გასავლელათ სრულიად სპირო არ არის კაპიტალიზმი, პროლეტარიატი და სხ. საკმარისია მეზობლ ინტელიგენციამ მთავრობა ხელში ჩაიგდოს და მიწის საერთო მფლობელობას სხვა ქანების საერთო მფლობელობა მოუშალოს და ასე სოციალიზმი უპროლეტარიათ და უკაპიტალიზმით განახორციელოს. ამ აზრვენებამ დაბადა „აგარაიული სოციალიზმი“, გლეხის „ბუნებრივი“ სოციალისტობა, გლეხთა მოძრაობის განხვიადება და პროლეტარიატის დამცობა. და აი, ეს მიიღო სამყვიდროთ სოციალისტ-რევოლუციონერებმა

მაგრამ რადგანაც სოც.-რევოლუციონერთა პარტია აღორძინდა 1900-1901 წ. წ., ე. ი. მაშინ, როდესაც რუსეთის სოციალ-დემოკრატია უკვე მო-

1) ჩენრისშეესკის არ ვიხსენებთ, რადგან მის და სოც. რევოლუციონერთა შორის დიდი ძნდვაოია და უყენი ამათ ეპოლიტიკური მას ნათე-აოხას. იხ., სხვათა შორის, ზელტვის „на двадцать лет“ გვ. 167.

ლონიერებული იყო და პროლეტარიატს გამძლავრებული, ცხადია ისინი ამ ახალ ზედგადენას ვერ აცდებოდნენ და ეს ასე თუ ისე უნდა ეცნოთ და ასე მათ თავის ლაზროვანობილიოვსკისაგან მიღებული სამკვიდრო დაფერადეს მისი სრულიად მოპირდაპირე აზრებით და თეორიებით. ახლა ისინი შეეცადნენ მარქსის ზოგი მთავარი აზრები „მოცთახნებით“ თავის ძველ ფილოსოფიურ სინდისთან და თანაც მღვარაიყვენ თავის ძველ ფილოსოფიურ შეხედულობაზე“, როგორც ამას მარქსი ამბობდა გერმანიის „ქეშმარტ“ სოციალისტებზე. ამ ახირებულ შეხედვებში მოგვცა ის, რასაც უწოდებენ სოც-რევოლიუციონერთა პროგრამას. მაშასადამე, ეს პროგრამა უნდა შეიტადგეს სრულიად ერთი-მგორის მოწინააღმდეგე მოთხოვნებიდან, ზოგი ამათვინა უნდა იყოს აღმოცენებული უკან ჩამორჩენილ რუსეთის ნიადაგზე, ზოგიც წინ წაწეულზე, ე. ი. აქ უნდა იყოს თავმოყრილი „კრიტიკულათ მოაზრე პიროვნება“, გლეხის ბუნებრივი სოციალისტობა და პროლეტარიატის კლასიური ბრძოლა.

განვიხილოთ ჯერ ამ სამთავიანი პროგრამის სამთავიანი საბუთები და შემდეგ გადავიდეთ თვით პროგრამაზე.

მარქსის აზრით, „ყველა იმ კლასთა შორის, რომელიც დღეს ბურჟუაზიას ემარძეის, ნამდვილ რევოლიუციონერ კლასს პროლეტარიატი წარმოადგენს“. სხვა უკმაყოფილო კლასებს აქ იმდენი მნიშვნელობა აქვთ, „რამდენათ ისინი თავის შეხედულებას ტოლებენ და თავისებენ შეხედულებას პროლეტარიატისას“ („მანიფესტი“ გვ. 23). ეს არის ერთი რევოლიუციური სათავეს აღიარება, ეს მონისტური შეხედულება.

ს.-რევოლიუციონერები კი, როგორც ეკლექტიკები, ე. ი. სამთავიანი პროგრამის მომხრენი, რასაკვირველია, უარსყოფენ პროლეტარიატის მეთაურობას და იძულებულნი არიან ისეთი საფუძველი მოახონონ, რომელიც მის სამ კლას—ინტელიგენციას, გლეხობასა და პროლეტარიატს—თავ-თავიანთი კლასიური შეხედულებებით უცვლელათ დატოვებს და იმევე დროს მათ ბუნებრივ სოციალისტობასაც დასაბუთებენ. და თი, ასეთი საფუძველია შრომა, შრომის ინტერესები. პროლეტარიატის და გლეხობის „საერთო შრომის, მუშური ინტერესი შეურიგებელ ბრძოლაშია თანამედროვე წყობილების თვით საძირკველთან და ამ ინტერესს ვისახათ ჩვენ პროგრამის ქვაკუთხედათ, მის საფუძველათ. ამ ინტერესს, ამ მათ საერთო დანიტერესებას—კაპიტალიზმის აღაგას სოციალისტის წყაბილება დამყარდეს—ჩვენ გესურს დავუმორჩილოთ ყველა კერძო, პირდაპირი, ადგილობრივი და პროფესიონალური ინტერესები

შრომელი ხალხის ცალკე ნაწილებსა, (P. P. № 48 გვ. 7.)

როგორც ხედავთ, სოციალისმის საფუძველად წამოყენებულია „შრომელ ხალხის“ ინტერესი, მისი სარგებლობა. მაგრამ ინტერესს რომ სოციალიზმი განეხორციელება, განა ამდენხანს ათასჯერ არ განხორციელდება? ეს გაყვეფელი და სატრუ-აეროა „შრომელი ხალხი“ არსებობს დიდი ხანია, ისტორიის დაწყებიდან, მისთვის სოციალიზმი ყოველთვის სასარგებლო იყო ჭ მიუხედავათ ამისა ის მაინც ვერ განხორციელდა. აშკარაა სოციალიზმის საფუძველია არა სარგებლობა, ინტერესი, (და ვისთვის არ არის ის სასარგებლო?) არამედ სრულიად სხვა რამე; ეს სხვა რამეა ხალხის წარმოების ნეითიური პირობები. დღევანდელმა ხანამ „შრომელი ხალხის“ გაკირება კი არ გამოუცვლია, ის ისეთივეა, როგორც წინეთ იყო, გამოსცვალა მხოლოდ წარმოების წესი, დამყარდა კაპიტალიზმი, ლობძინდა პროლეტარიატი, ერთად ერთ ჭერს ქვეშ მრავალის შუაშობა და მით მოაშადა ნიადაგი საერთო ბრძოლის, საერთო წარმოების და საერთო საკუთრებისა. უთმისოდ სოციალიზმის განხორციელება ისეთივე რცნება იქნებოდა, როგორც ეს იყო საშვალო საუკუნოებში და ძველ რომში. შეიძლება ხალხი დაღარიბდეს, დასაწყუდეს, მაგრამ თუ წარმოება ხელს არ უწყობს, სოციალიზმი ვერ დამყარდება.

ამნაირათ სოციალისტური პროგრამის საფუძველი არის არა რომელიც კლასის ინტერესი, არამედ წარმოების კაპიტალისტური წესი და აქედან წარმომდგარი კლასთა ბრძოლა. ამ წესის შეილია პროლეტარიატი და ამიტომ სოციალიზმიც მისი ფილოსოფიაა. მაგრამ ს.-რევოლიუციონერები მიხილავსკიანთ ამ წესის და ამ კლასის განვითარებას უფროსი და უკან-უკვი გლეხობისაყე იხედებიან, ამიტომ ისინი იძულებულია სოციალიზმის ან-ბანი უარკყონ და უმზჯავსოება წამოაყენონ. ამით ისინი ამტყავენებენ თავის რუკცანაწერ სარჩულს.

მიანახეს რა ასეთი სასახელო „საერთო ნიადაგი“, ისინი რიხიანათ განაგრძობენ: სოციალ-დემოკრატების რაზეთ „სოციალისტურ პარტიაში შესასვლელათ საჭიროა პროლეტარიატის შეხედულობის შეთვისება. ჩვენთვის კი ექვს ვარეშა, რომ შრომელი გლეხობა არ საჭიროებს ვისმე სხვისი შეხედულობის შეთვისებას; არა, მისი საკუთარი შრომის ინტერესი, მისმა საკუთარმა, ამ ინტერესებით განსაზღვრულმა, შეხედულობამ უნდა მიიყენოს ის სოციალიზმისა. შეხედულობა სოციალიზმის, არა ყლისის, არამედ რევოლიუციური სოციალიზმის—თი ის ფოკუსი, სადაც უნდა შეერთდეს შეხედულებანი როგორც პროლეტარიატის, ისე გლეხობის“ (ი.)

ეს ამონაწერი ერთიანთ ხატავს ს.-რევოლიუციონერების სულის კვეთებს ეს ძირიანთ უარსყოფს ინტენაციონალურ სოციალიზმს. და მართლაც, რას ნიშნავს რომელიმე კლასის შეხედულებზე ეს ნიშნავს მის ყოფა-ცხოვრების, მის ნივთიერ არსებობის მთავარ ძარღვის გამოხატულებას. პროლეტარიატის შეხედულება კერძო საკუთრების უარის, ყოფა და ერთად წარმოება. გლეხის შეხედულება კერძო საკუთრების მარშრობა და მის-მის-და წარმოება. პირველია შეხედულება სოციალური, მეორე ინდივიდუალური. და რადგანაც სოციალიზმის მიზანია კერძო საკუთრების მოსპობა და საერთო საკუთრების და საერთო წარმოების დამკვიდრება — ცხადია ეს ხატავს პროლეტარიატის შეხედულებას და მისასაღმე სოციალისტურ პარტიაში შესასვლელათ აუცილებლათ ამ შეხედულების შეთვისება საჭირო. სოც.-რევოლიუციონერებს კი სურთ სოციალისტურ პარტიაში შეყვანონ ინდივიდუალური შეხედულების, კერძო საკუთრების და კერძო წარმოების მოტრფილენი. და რადგანაც წერილ მესაკუთრეთა რიცხვი პროლეტარიატის რიცხვზე ტია — შუკარაა სოც.-რევოლიუციონერების სოციალისტურ პარტია მხოლოთ სახელითაა სოციალისტური, ნამდვილათ კი წერილი ბურჟუაზიულია. აქ პროლეტარი ათქვეფილია სხვა კლასებში და მისი შეხედულება, რასაკვირველია, ვალესილია. ერთი სიტყვით, ს.-რევოლიუციონერთა მიმართულება შექმნან ისეთი პარტია, სადა ვაბატონებული იქნება წერილი მესაკუთრეი თავისი კლასითი შეხედულებით ე. ი. შექმნან წერილ-ბურჟუაზიული პარტია, ხოლო სახელათ კი „სოციალისტური“ დაარქვან! ცხადია, სოც.-რევოლიუციონერთა პარტია წერილ-ბურჟუაზიული პარტიაა და ტყუილა იჩემებენ სოციალისტობას.

პროლეტარიატის და გლეხობის შეხედულებანი უნდა შერთდენ მესამეში — სოციალისტურ შეხედულებაში, გაიძახიან ისინი. გამოდის რომ სოციალიზმი არც ერთი ამ კლასის შეხედულებას არ ხატავს, ის ამათ ვარდთ დგას და თავის წილში მოსარიგებლათ იწოდებს. მაშ ვის შეხედულებას ხატავს სოციალიზმი? ვისას და „კრიტიკულათ მოაზრე პირვენებისას“, მებრძოლი ინტელიგენციისას. სოციალიზმი ამათი გამოგონებული, შემუშავებული და „დაბალ ძმათა“ გესამდენიერებლათ გამოფენილია. და ასე „კრიტიკულათ მოაზრე პირვენება“ შემდეგ ბევრი მიხვევ-მოხვევისას ისევ სათავეში სკუბდება და სხვადასხვა კლასის შეხედულების მომრიგებლათ გამოდის. ის პროლეტარიატის შეხედულების შეთვისებას უარყოფს იმიტომ, რომ თავისი საკუთარი შეხედულება ვაის-

დის, პროლეტარს და გლეხს ეს მიადებობს. მაგრამ რადგანაც, როგორც ზევით დაიწახეთ, ეს მთავარი შეხედულება წერილ-ბურჟუაზიულია. ეს ჩვენი „კრიტიკული მოაზრე“ უკრატით ემორჩილება ტეტია გლეხს და მის შეხედულებას მის ქვეითდება. და აი, ეს ჩამოქვეითება, წერილი მესაკუთრის ბიარატრობა ს.-რევოლიუციონერთ სოციალისტურ მადეწობათ მიანით! ასე იქსავენ ისინი სიტყვების აბლაბუდას და შიგ სიაოვნებით ეხვევიან!

ისინი განაგრძობენ: „თუ ჩვენ გვეკითხვიან — რანაირათ შეუძლია შრომელ გლეხობის შეხედულებას ლოდიკურათ მივიდეს სოციალიზმამდის! ჩვენი პასუხი მარტია: ის უნდა (ხაზ-გასმულია ავტორისა) მაგადეს სადეაღმამდის, ვინა ღან შიადლოთ სოციალიზმი მისკემს დამყოფილუბას მშრომელი გლეხობის ავტორებს ინტერესებს, რაც აუცილებლათ და არც მწელია მისთვის სხსს“ (იქ).

აქ გლეხობის ვასოციალისტების ორი საშუალება წამოყენებული: ერთია სიტყვა „უნდა“, ხოლო რატომ ასე „უნდა“ და არა ისე, რატომ უკანის არ უნდა და და ახლა „უნდა“ — ეს ალახმა უწყის; მეორე საშუალება მეორე სიტყვა „ახსნა“, „კრიტიკული მოაზრე“ აუხსნის — სოციალიზმი კარგითა და ისიც ვასოციალისტდება: მაგრამ თუკი გლეხმა თავისი კერძო მესაკუთრის შეხედულება არ უნდა დატოვოს, რანაირათ შეიძლება მისი დაჯერება კერძო საკუთრების უფარვისობაში — ესეც ალახმა უწყის. საწყალი ტეტია, ს.-რევოლიუციონერების ვადამკიდე, ის კერძო საკუთრების მოტრფილეც უნდა იყოს და სხოვადო საკუთრებისაც; საწყალი ს.-რევოლიუციონერი, ტეტის ვადამკიდე: ის ფიქრობს ტეტის ვასოციალისტება და ნამდვილათ კი თვითონ ტეტადდება.

როგორც ხედავთ, ს.-რევოლიუციონერთა „სოციალისტური“ საბუთები პროლეტარული სოციალიზმის უარისყოფაა და მის აღიგას წერილ ბურჟუაზიული შეხედულების გამეფება. და აი, ეს მათი მთავარი მიმართულება წითელი ზოლივით გაყოლებულია მთელ მათ პროგრამასა და მოქმედებაში. და რომ ეს ასეა — ამას დაიწახეთ შემდეგ წერილში.

ა ჯ ა ნ ე მ ბ ა რ უ ხ ე მ ი შ ი

რუსეთი „გახრწანა“, ქვეყანა „იღუპება“ — მათქვამენ რეპუბლიკურები.

უკვლა ის, ვისთვისაც მევის გვირგვინი სთფრათა უთვალნაირ ბორტებისა და ძარცვა-გლევისა, დღეს დაღრეშიადი დასტრისს დაკარგულ ბედნიერებას. სტი-

რის თვითმშრომელი შეფე, რომ „რუხი“ ხალხი ფიხ-
ზე წაიძვრა, წინადატერათ გარეგანს აწვდის სხეებს.
მოსთქვამს შინაიკრა, რომ კან დაღმული ხალხი კებს
ამსხრვეს და დღეს არა, ზედა მსარ მასწავლებს ზარკე
ფარანზე ჩამოსახსობათ. სტრანინ გუბერნატორები, მახ-
რის უფროსები, ბოქაულები, ზოლოდოლები, ფორნიკე-
რი—დიდი და ჰატარ თვითმშრომლები, რომ ვაჭარ-
ბუნდებოთ ძველი დრო, როცა ვეგლან მუდროება
სუფიქსად, ხალხი კომინავდა მათ უღელს ქვეშ, მარა ხმის
ამოღებას ვერა ბედავდა.

ქვეყანა „ახარხარა“, რუსეთი „იღუპება!“

დახ, ნოკოლოზის რუსეთი კვდება, თ. თ. მუშურ-
სკებისა და გინეტიკების რუსეთი ჰქრება. გუშინ ძლიერ-
ი, დღეს ის განება-დაკარგული სულს დაფარს. ძვე-
ლი ქვეყანა ღებება, რომ დაწამლ ავლილზე ახალი ქვე-
ყანა აკვოს, ქვეყანა განახლებული რუსეთის. ახალი რუ-
სეთი ძველ კანს იძრობს ცივხლითა და მსხვილი. უთ-
ველი ახალი დღე ამ პროცესს აძლიერებს.

ინარაზი ზირველათ შკარათ შეებრძოლა პროლე-
ტარატი თვითმშრომლებთან. მას აქედ ეს ბრძოლა
შეღმებ სწარმოებს, ცივხლი რევოლუციის ახალ-ახალ
ავლილებს წვდება, რომ ნელ სულა მთელი ქვეყანა დი-
პროსი და თვითმშრომლებთან სამარე გაუთხაროს. მი-
სი ძალზე თქმინველ ვეგლა ტერორიზმითა და მასწავლთ
იმედს აძლევს თავისი გაწარმეული მტარმრეობა თდ-
ნაუ მანინ შეინიშნუქოს. პროტარატიის უძლიერესი
სამრძოლველი არაღი—გაფიცვა შეუწყობდათ მოქმე-
დებს, და რამდენათ ხშირათ იღესკია ეს არაღი, მით
მოძრობა ძლიერდება და ცხოვრების აუცილებელი მსგულ-
ლოთით თვითმშრომლებთან სწინააღმდეგოთ აჯანუბებთ
იქნება. ვეგლას ახსოვს ანგროს დასიცივის შედეგი ბუ-
ტურბურეში. უკანასკნელ დროს მუშათა მოძრობის გა-
ფიცვა კიდევ უფრო გარმავდა. ქ. ლომში იგინის
პირველ რიგებშიდან მუშათა გაფიცვა დაიწყო. რამოდე
ნამე დღის შემდეგ კი „მუშები ამტარებდნენ ქუჩის
ფარნებს. ტრაგედიის ბოძებს და აქნებდენ ბარაკა-
დებს... უმოხურესი შეტაკება 10 იგინის მიხდა. როცა
ბრძოლაში 60,000 შეარბლებული მუშა და 6 ხილვი
ჯარი იღებდა მონაწილეობას. მუშებმა სხვადასხვა ად-
გის 30-მდე ბარაკადი ამართეს, რომელიც ჯარმა იერი-
შით აიღო. ბევრი სხვლები მუშებმა ციხეებთან აქციეს,
სიადანებ ჯარებს თოფებს ესროდნენ და მღვდარეს ას-
ხმადნა (რ. გ.).

როცა ქ. ლომის აჯანუბების მოსიზება მოყოლობამ უკ-
ვე მოაწრო, ხმა აღიმდლა ქ. ოდესის პროლეტარა-
ტმა. რამოდენისამე დღის განმავლობაში გაფიცვა მთელ
პროლეტარატის მთელი და აშკარა აჯანუბება დაიწყო.
ხალხი ზოლიდიელებს და მოხრობის სხვა წარმომადგე-
ნელ ბრძოლად ბოძებოთ, რევოლუციებით, ზოგან თა-
ფებით. ამავე დროს აჯანუბდა შავი ზღვის ფლოტი. ჟაე-

შნოსან ტემ „ინაზ ჰატოიკინ“ ზე მატროსები კამნილი-
რებს უჯანუხდენ, ზოგი კავლიტეს, ზღვარდოტრეშტეს
და შემდეგ ქ. ოდესის მადებებს, რამდენ ხელი შეუწყო
ოდესის აჯანუბების გაძლიერებას. „ინაზ ჰატოიკინ“-
ს შეუერთდა ერთი ნადმოსანი, ხილა ჟაეშნოსანი ტემა
„ბოიორაი ზოლდონსკი“-, მის წინააღმდეგ კავხანა-
და, მის ოჯრითი შეხვედა. თუმცა შემდეგ მას დაძრო-
და. შავი ზღვის ფლოტის აჯანუბანს ბალტიის ფლო-
ტის აჯანუბებ შეფეა და ასე ფლოტი—თვითმშრომელ
მუშის უძლიერესი არაღი დღეს მის წინააღმდეგ მი-
იძრობს. მთავრობის ხმელეთის ჯარია შერნა. მარა
უკანასკნელ ამბებს ქ. ვარშავაში ეს იმედიც უნდა გა-
ქრულდებოდა. დლიტოში ხილვის აფიცრებმა კრებს მოსა-
დინეს და დაადგინეს, სანამ არსებული სხვაღმეციო
წიობილებს არ შეადგებოდა, ომის გაგრძელება შეუძლე-
ბედათ, რადგან მთელი ხალხი ამას წინააღმდეგობა.
მთავრობამ სამხედრო სისამართლოთი უმასხუხა და „მე-
თაურთ“ დახვერტა კადრუქვიტა. ისინი გამოიყვანეს
მოვლანზე თაღახვეულია, მთავრის ბოძებს და იმავე
ზოლვის სიღლითებს უბრძანეს ესროლოთი, სიღლითებმა
თოფები დაუშვეს. ისინი იქვე ახლათ დააქრეს, ხილა
სსკვლის შესასრულებლათ კახკებს მოუწოდეს. ამ
დროს, როცა კახკები სისრულათ დაემზადნენ, სიღლით-
ებმა ზალბა მისცეს და კახკები ერთიან ამოვლიტეს;
შემდეგ თავისი ნებითვე კახკებში დაბრუნდნენ. აფიც-
რები, რა კი ასკვლი ვერ შეუძრულეს, კახკებში
ჩასვეს.

აჯანუბება ახალ-ახალ ავლილებში ვრცელდება; რე-
ვოლუციო ახალ-ახალ კლასებს აერთებს, უმყოფილე-
ბას ახტობებს, ხშირათ, მტროსაც შლის და ახლათ ის
დღე, როცა ჰატარ ზოლოდი მთელ ზღვათ გა-
დაიქნებდა და მოხრობის ხილვის მხედრებს ერთიან წაღებს.
ასეთათ ცხოვრების აუცილებელი მსგულდობა.

ახლა ვიციბოთ, რას გავსწავლის განვლილი ხანა
რევოლუციის.

სართო აჯანუბება აუცილებელია, ძლიების შეერთე-
ბა მოძრობის მხსნელად, სხვა კითხვა, როგორ შეიძლე-
ბა ეს: „მოშურადელიყო“ რომ კითხობთ, ამსოვლის სა-
კმათ კონსპირატულიათ აჯანუბების მლახი შეადგინოთ,
მუშებს გაანთ, შემდეგ ფერტელი გამოსცა და ხალხიც
აჯანუბებოთ. ასე ესმის აჯანუბება მას, ვინც შეთქმულთ-
ბის ძიოთ ვერას ხედავს. ცხოვრებაში კი სულ სხვას
გზადებთ სხვადასხვა კითხე მხსნადასხვა იდრომობაში
შეგნებოთ, გამოცდილებით, ისტორიული კარდებით,
ტრენიკური მომხმადებით. დეჟურტოთ ამას აჯანუბების
გამომწვევები მხსნობელი მისჯება და ცხიდი იქნება, რომ
აჯანუბება ვერ ერთ ადგილს იწვებს, შერე კი მთორე
მხარეს გადადის, ან იქვე თუდება.

ასეთი იყო ზირველი და მთორე ქტი რევოლუცი-
ციის, ასეთი შეიძლება დარნეს მესამე, მეოთხე და ვინ

აღის მკამდენე აქტო რეგოლოდებისა. რეგოლოდებანი ხალხი თვით იწრთენება. დამარცხება—გამარჯვებაში ის თვით იხარება და ხარბიან არე-მარეს, რომ შუამდგომარეობა გამარჯვება ირგუნოს. თავისი სისხლით, რომ ღიოც ირწევება ქალაქისა და სოფლის ქაქები, ის შლის თავის უძლიერეს მტერს—ჯარს და ხელ-ხელს თვითონ იერთებს. და რთაც ჯარის ჩრგვინი იმდენით მოდუნდება, რომ ერთი ნაწილი აშკარათ შუერთდება აჯანყებულ ხალხს, დამარცხება გამარჯვებით შეივლდება, ჯარ ერთ-ორ ადგილას, რაც თავისთავთ გამოიწვევს ქვეყნის სურათს აჯანყებას. რომ ეს ასეა, ჩხდათ მოწმობის უკანასკნელი ამბობი. 9 იანვარს ჯარი თითქმის გულგრილად შეიჭდა. მარა რაც ხანი გადიოდა და მოძრაობა ვითარდებოდა, ისიც ხალხისკენ მიქანებოდა და ბოლოს თლოტის კარკა მოხრდილი ნაწილი აშკარათ დადგა ხალხის მხარეზე და ხმელეთის ჯარზე კვების სისწრაფით მიემართება ამ გზაზე.

აჯანყებას თავისი აუცილებელი კანონი აქვს. ის სტრატეგია იმდენით, რამდენით მოძრაობს შეტენას წინასწარობს და ამ უთანასწორობას რამდენიმეთ თვით აჯანყება აქრწელებს. აჯანყება მთელ ქვეყნის ადგას და ეგება ის, ვისთვისაც ჩხოვრება დღე-ნაცვლის რთლს თამაშის. ხნ შუანებულათ, ხან შეუკნებულათ ჩხოვრების აუტნებლ ზიარბებს ებრძვის. აბრძვის ზნაფლტარი, იტუტებს მიმამულათ ადგილ-მამულს გლეხი, თხოვრთ თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას ხნდისხს ჩინთაგ-ნაიკა. ცხოვრების მძღვარში სიამ მთელი ქვეყნს ფეხზე წამოაქნა, ეგება თავისს ებიებს, მის ამ „თავისს“ ერთი სურათი აქვს—თვითმურთმებლობის დანტრეგა, დაბორკული ზელებს აშკება.

და აა თვით ამ ბრძოლის დროს, ბრძოლის გეგმაზე შევადანება ნაწილი ერთი თეორიის უკუმარდება, სურთთ მოდარება რაზმში ადგება, რთდის მოხდება სობალოთ ეს შეერთება. ეს დროს კითხვას. ზნაფლტარათ ზარტიის ვადებულუება ეგადის ამ შეერთებას სათავეში მოეჭებს.

შინაური მიმოსილვა

ნამეტნიციის მთავრობა დიდ ფაქტა-ფუტში. ის ენერგიულათ მოქმედებს ხალხის თვალის ასახვევით და მოძრაობის ჩასაქრობათ. პირველათ მან ხული-განთა ლაშქარი შეადგინა და სათარეშოთ ქუჩაზე გამოიყენა. ეს, რასაკვირელია, მისი გამოგონება არ არის, ეს კი ხანია რუსეთში გამოგონებულია. მაგრამ არსად ისეთი მძღვარი პრეტესტი მას არ გამოუწვევია, როგორც ჩვენში გამოიწვია. თფილისის სოციალდემოკრატიამ თავისი უკანასკნელი პოლიტიკური გაფიცივით ნათლათ დამატკიცა, თუ ვინ არ ს თფილისის ნამდილი მეთაური, ნამეტნიცი თუ შერ-

თებული მუშა-ხალხი, თვითმპყრობელობა თუ რეგოლოდები. ხოლო პროვინციის მუშათა გამოხვედრებამ, ამერთ-იმერთის საერთო გაფიცივებამ, შუარევი მუშათა მოძრაობის სიმკიცე. ერთობა, ქირში ვანყურლობა და ნამეტნიციის პოლიტიკის ყველგან ერთხმით დგომბა. ძალა სოც-დემოკრატიისა მატულობს და ღრმადდება, ძალა რაქციონისა— კლემბულობს და იღვევა. რა ჩნა მთავრობამ უკანასკნელ მოძრაობის წინააღმდეგ? ვერაფერი, სრულიად ვერაფერი, მუშების გაბატონებას თფილისში, ქუთაისში, ბათომში, გორში, ხაშურში, თელავში, შორაპანში, სამტრედიაში, ხონში და სხვაგან მან ვერავითარი ძალა ეგრ დღეუბრადარა, ის იღვა მის წინაშე თავისი დეტეხული და ამ აზიურთებულ ტანლებს იმედ მოკვეთილი შესტკურდა. მან ვერც ერთი თავისი მუქარა სისრულეში ვერ მოიყენა, თფილისის რკინის გზის სახელმწიფოში გამოკიდული ნამეტნიციის ბრძანება მუშათა წინააღმდეგ დარჩა უბრალო ტრახახობათ და ავტორის შემარცხენათ. ერთი სიტყვით სოციალდემოკრატიამ ხულიგანურ მთავრობას ვეღარად შეგბრძოლო და მით სამუდამოთ ვსტება ჩვენებული ხულგანობა ამით დასრულდა ჩვენი ძალღონის ნაუტბათევი მობილიზაცია, მობილიზაცია სწრაფი და მძლავრი, მებრამ ამასთანავე მობილიზაცია პასიური. აქ ჩვენი ჯარი გამოიყენათ საბრძოლველათ მუშაობის აკვეციო, მოქალაქობრივი ცხოვრების შეჩერება. და ეს ჩინებულიათ იქნა მიღწეული. ახლა სატიროა ერთი ბიჯის კიდევ წინ წადვა, პასიური წინააღმდეგობის მაგიერ აქტიურის დაწყება, პოლიტიკური გაფიცივის პოლიტიკური აჯანყებით ვაგრძლებო და აა, ამ მხრით უნდა იქნას ამ ტამთ ჩვენი მთავარი ყურადღება მიქცეული. ქართლში უკვე დაიწყეს ვგრედ წოდებული წითელი რაზმების შეყენება, მათ მიერ თავის თავის შეიარაღება და საბრძოლველათ ვარჯიშობა. ჩვენ მოვიწოდებთ ყველ ამხანავთ, როგორც ქალაქებში ისე ოფლებში მიბამონ ქართლს, შეადგინონ რეკოლიფუ ური დრუტენება და ჩავგონნ ყველას იარაღის შექმნის საკითრება, იქადგონ თვითშეიარაღება. თფილისის პოლიციის უკანასკნელმა თარეშობამ, მრავალი შექმნილი იარაღის დაკარგვამ ნათლათ დაგვანახა, რომ ორგანიზაციის მიერ ხალხის შეიარაღება ძნელი და თითქმის განუხორცილებელია. შიტომ ჩვენმა დრუტენებმა თვითონ უნდა იხრთონ იარაღის შოვნას და შევანახებოდა, მათე უნდა დავიროგოს იარაღები ორგანიზაციას. და როცა ასეთი წითელი რაზმები ვამრავლებოდა და მოხალდებოდა—პირველ შემთხვევისთანავე მათ შეეძლებათ ხალხის სათავეში ჩადგომა და აჯანყების დაწყება.

და აი, რევოლუციის ამ მხრით განვითარებას ყოველწიარ მახის უკვებს მთავრობა. ნამესტნიკმა ქართლში და კახეთში დაგზავნა თავისი ერთგულნი და ხალხის ორგულნი მემპროლე—ლენერლები—ამილახერი და ჰეპეიაძე.—თან გააყალბა კახელები და მიანდო გლეხთა მოძრაობის ვატებს, და ესენიც შეუღდენ საქმეს. მით თავი ისახელეს ძალათ-ღმუხტატების ნაისტრეკთან გზავნით, მითრახებით ყრილობების მოწყვეით და ანაირათ შაკი რაზმების წაქმადგებით. ამავე დროს სოფლებში აგრეკლებდენ ნამესტნიკის „განცხადებას“, სადაც გლეხთ „ყოველდო მოწყყალი“ პირღება თიად-ზნაურების სასარგებლოთ ქონების წართმევას, მემამულეთა ზარალის ასანზალურებლოთ მით დაბრძება და აწიოკებას. ამ მიზნით ის აპირებს კომისიების დაასისებას და შიგ გლეხთა თანხმობით გლეხთა დაქცივის. ასე ზრუნავს ხალხის კეთილდღეობაზე მეფე და მისი მოადღეო, ასე შესტკივთ მით გული დაჩაგრულეებზე. იმედია ამ ახალ ოინებს გორებით დაურგრევენ, ასეთ კომისიებში წარმომადგენლების გაზნაზე უფარს იტყვიან, ხოლო მთავრობის მიერ მოწყვეულ „წარმომადგენელთ“ ისინი თავისად არ სცნობენ, საზოგადოთ კომისიას შეებძილებიან და გლეხობის გაყვლეფს არ დაანებებენ. გლეხთა საზოგადოებებმა უნდა დაადგინონ—არაფერს არ გადახიბიან თიად-ზნაურთა სასარგებლოდ და ეს გადაწყვეტილება საჯაროთ გამოაცხადონ. ნამესტნიკი თავის განცხადებაში გლეხებს პირღება: ჯერ ზარალი უზღეთ მემამულეთა და შემდეგ მე ვიცი თქვენი პატივისცემა, თქვენ „კანონიერ მოთხოვნილებებს დაქამაყოფილებ“-ო, ე. ი. მომეცი ერთი მილიონი და მოვცემ ერთ აბაზსაო! მთავრობა რეფორმატორი! სად იყო აქამდის, განა გლეხთკოცობა მუდამ ასეთ ტანჯვაში არ იყო? რატომ წინეთ არ პირღებოდა ამ მძიმე უღლის შემსუბუქებას? ცხადია რატომ. წინეთ გლეხობა ვაჩუქებულ იყო და მისი მტანჯველნიც არხინით სტანჯავდენ მის, დაღეს ეს ისინი შეიძინენ, თვალები აბიღეს და მტანჯველებიც შეშეშოლდენ, დაფთხენ და ლამობენ ლაქტკობით და დაპირებით გლეხობა ისევ დაიმორჩილონ და მის ზურგზე ძველებურათ იპარპაშონ. და აი, ერთთა ერთ მიზნის მისაღწევით ნამესტნიკმა თვლით თავისი ძალა აამოძრავა: ლენერლები, კახელები, შაკი რაზმები, განცხადებები, კომისიებები—ერთი სიტყვით, ყველაფერი.


მაგრამ მეფის მოადღლის ორპირობა ყველაზე უფრო აშკარათ და გარკვევით გამოჰდღავდა ერობის შემოღების საქმეში. მოგვხსენებთ, რომ მან პეტერბურგიდან შემოგვითვალა, მოვდივარ და რეფორმების შემოსახლებათ მოვიწყევ ხალხის წარმო-

მადგენელთა კრებებსო. ნათქვამია—მტყუნენ კარგბამდის მიყვივო და ჩენც მიყვივით, ესე მტყუნანის კარები გაიღო ამ დღებში და შიგნის მხარის წარმომადგენელთა მგიგერ შელავდა ლენერლები, ეანდარებები, პოლიციელები. ცენზორები, ჩენი გავითობის რედაქტორები, ყოველ ნაირი ჯურის „დღი სიტყმი“ და შაკი რაზმი თავმჯდომარეობით შეუღდენ რეფორმებზე ბჭობას. აი ამათი შესახებლო „ერობა“ გადაეცემა „მოსაწონათ“ მახრის საბჭოებს, რომელიც ალბათ ასეთივე ჩინონიკებით იქნება შეზავებული. ამას უწოდებს მთავრობა ხალხის წარმომადგენლების მოწყვეცა! ასეთია მისი დაპირება!

როგორც ხედათ, მთავრობა ყოველწიარ ხრიკებს ხმარობს დაწყებული მოძრაობის გააღებათ და ახირითებულ ტალღების თავის წისკილისაკენ ჩასტარებლოთ. რეაქცია უფრო და უფრო მელაქლობს, რის ვაითებდა პირდაპირ არ ძალუძს, ოინებს იგონება, დაპირება და მოტყუება ხელობათ გაუხდია. ყველა ეს უტყუარი საბუთია მისი გახანწის და დარღვევის. საჭიროა ეს მკედარი სამუდამოთ მოვიშოროთ და მის კლანჭებისგან განვთავისუფლდეთ. ამის ერთთა ერთი საშუალებაა აჯანყება, აჯანყების ფარ-ხმლია შეიარაღება. ის ვინც ახლა შეიარაღებს არ სცილობს, რევოლუციონერი არ არის, ვინც იარაღის ხმარობას არ სწავლობს—ბრძოლას არ აპირობს. მოძრაობის უკანასკნელ თვის განვითარებამ აჯანყების კარგბთან მიგვიყვანა, საცაა კარებიც გაიღება და ვაი იმათ, ვინც შიგ შესასვლლოთ მშათ არ იქნება!

ძ ა ლ ბ ი - მ ა გ ს ო ნ ე ნ ი .

ჩვენ მუშებს მოველინათ ძალათ-მაცხოვნნი. ბრძოლის ველზე დაიარაშენ არა-კითხვ მოამბენი და ხალხს ამაყურათ თავს დასტკერიან, აი მოვედით თქვენს გასაგონიერებლოთო. ამით გულტენბერკის მანქანაც დაუბრკივებით და ვინ იცის რას არ ანებებენ დასაჯულდა და ქვეყანაში გამოსათენათ. ესენი, რასაკვირველია, „რევოლუციონერებია“ და ისიც „სოციალისტური“; მათი რევოლუციონერობა იხატება სიტყვების ქარბუქის აყენებაში, ხოლო მათი სოციალისტობა—თავის პარტიის სახელწოდებაში. ამათ წარმოუღდენით, რომ საკმარისია ორიოდ მშაბიქის შეყრა, სამიოდ ფურცლის გამოქცევა, ოთხიოდ პრეტყლით ფრაზის ზედი-მოსოლო და გულზე ხელების ცემა, რომ რევოლუციონერის და სოციალისტის სახელი მოიხვეჭონ და ამ საბუთით, ხალხის მორჩილება მოითხოვონ. ეს ახირებული ადამიანები განსაკუთრებულ ქუთათში გამარველებულან. და ეს ასეც უნდა მო-



მადრიყო. ქუთაისში მუშა-ხალხი კოტაი და ვინც არის ჩვენს პარტიაში, ინტელიგენცია კი ბევრია, უფრო კი ზაფხულზე; მისი ერთთ-ერთი საქმე დიდების გამოიხატებოდა ბუღელოს ტრენაში და „დაბალ მატერიაზე“ მაღლა ლაპარაკში. ამით ქმ-ყოფილი იყო ბულვარი; მარა ამ ბოლო დროს სახიფათო საქმე მოუვიდა; ქუთაისის სოციალდემოკრატთა მყუდროება დაუნგრია და თავისი მოძრაობით ყური ატკვეტია. ბულვარის სახელოვანი მდგმურები შეტოვდნენ, იწყეს სროლად გამომართმა და მუხბლზე სხვა-და-სხვა პარტიული კაცრდის დიდებუ-ბა. ამბობენ თვითეული ბულვარდელზე ორი პარტია მოდისო; ეს არ გვეჯერა, პირიქით, თვითეული ბულვარდელი ერთ და იმავე დროს ნახევარ დიუ-ტინა პარტიაში მანც იმყოფება. მართალია მათი სახელეუბო სხვადასხვაა, არიან „სოციალისტ-რევო-ლიუციონერნი“, „სოციალისტ-ფედერალისტნი“ და სხვ., მარა ეს ერთი და იგივე საქონლის სხვადა-სხვა ნაირათ გამოჩვენებაა, ან ერთით კი მიიზიდავს მუშებს და ან შეორეთი. ყველა მათ აერთებს ერთი უწმიდესი იდეალი, ოპოლისათვისაც ისინი თავს დე-ბენ—ეს იდეალია სოციალდემოკრატის დანგრევა, მუშათა პარტიის დაშლა და მის ალოგას თავისი სი-სილიერის აგება. ასეთია ამ „დიდი პარტიის“ პე-პარა წვერთა დიდი სურვილი. ეს სურვილი შეიძ-ლება დიდხანს სურვილათ დარჩენილიყო, რომ მათ სახათაბალოთ ერთი გარემოება არ დატრიალებუ-ლიყო. ქუთაისის სოციალდემოკრატთა თვითელთა მართის დასაქერათ საერთო გაფიცვა გამოაცხადა. ბულვარი „შეტოვდა“, ზაფხულის ინტელიგენცია აყა-ქნდა და თავის მხრით გადასწყვეტა ამ ცამილილ სურფაზე შემოჯდომა და „მეც ვნსავო“—დაძახება. სოციალისტ-რევოლიუციონერებმა გაფიცვა გამო-ცხადეს; გამოაცხადეს სწორეთ თავის დროზე, ე. ი. მაშინ, როცა გაფიცვა უკვე დაწყებული იყო და, მაშასადამე, ვერაიენ იტყოდა ისინიც არ ხნავენო. მარა ამ „მუშობით“ გამხვევებულმა პარტიამ გა-თავების დრო ვეღარ გამოხობა, მან იფიქრა სო-ციალდემოკრატებმა გაფიცვის დაწყება დაგვასწრეს, მოდი სამაგიერო გადაფუხადოთ და დასრულება და-ვისწრათო. შეუდგნენ საქმეს, გამოსცეს ფურცელი, მოიშურეს ყველა პარტია, მთელი ბულვარი, მარა ამოკრა, გაფიცულნი სოციალდემოკრატთა ფურცელს უღლიდნენ. ამით აშკარად დამტკიცდა, რომ ქუთაი-სის მუშათა მეთაური სოციალდემოკრატია, ხოლო დანარჩენები ძალათ-მაცხონენია. იწყინა ეს ბულ-ვარმა; ფედერალისტებმა, რევოლიუციონერებმა და მათმა მძებმა ფენზე დააყენეს მთელი თავისი ძალა— საწერ-კალამი და ერთი ფურცელი ქაღალდი—და შეუდგნენ „ზბოლოს“. ბულვარი მოფინეს ფურც-

